

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის
სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი

Tbilisi Sulkhan-Saba Orbeliani State Pedagogical University

ISS N 1512-2131

პრომეთე PROMETHEUS

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი

Periodical Scientific Journal

4 (16)



თბილისი * Tbilisi * Тбилиси

2004

ექონომიკა

შორენა მაღლაკელიძე

„განათლების გლობალიზაცია“-დასავლეთის გამოცდილება,
საქართველოს პერსპექტივები

ახალი საუკუნის დაწყება აღინიშნება საერთაშორისო მასშტაბების ახალი პროცესებისა და მოვლენების და მასთან ერთად ეკონომიკური განვითარების პარადიგმების ცვლილებით. ეს პროცესი თავის გამოხატულებას პოულობს ახალი, ინფორმაციული ეკონომიკის დამკვიდრებაში; ე.ო. ისეთი ეკონომიკისა, რომელიც ემყარება ცოდნასა და საინფორმაციო ტექნოლოგიებს. ასევე, სამეურნეო თუ სხვა პროცესების გლობალიზაციას. „ახალი ეკონომიკა“ და გლობალიზაცია შლის რა კონკურენციის ეროვნულ საზღვრებს, ობიექტურად წინა პლანზე სწევს ეკონომიკური ზრდისა და ამა თუ იმ ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლების უმთავრეს რესურსს-ინტელექტუალურ-საგანმანათლებლო პოტენციალს. ამასთან დაკავშირებით, კადრების მომზადების სისტემა იძენს სტრატეგიულ მნიშვნელობას, ხდება მაღალი კონკურენტუნარინობის უზრუნველყოფის მთავარი ინსტრუმენტი. „იუნესკო“-მ XXI საუკუნე გამოაცხადა „განათლების ერად“. განათლება, მეცნიერება და კულტურა სულ უფრო და უფრო ერთგება საერთაშორისო კონკურენციასა და თანამშრომლობაში.

სულ უფრო ფართო საზოგადოებრივ აღიარებას ღებულობს თეზისი იმის შესახებ, რომ ქვეყნის აღორძინება შეუძლებელია განათლების ახლებურად განვითარების გარეშე. უნდა მოხდეს მისი გარდაქმნა, მოდერნიზება თანამედროვე მოთხოვნების დინებე, რა თქმა უნდა მველი დადებითის გათვალისწინებით.

სწავლების სტანდარტების ამაღლებისა და ამასთანავე ქართული განათლების საერთაშორისო „კონკურენტირების“ მიღწევის გზების ძიებასთან

ერთად ასევე აუცილებელია საერთაშორისო ეკონომიკასა და საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირება.

მსოფლიო საზოგადოების გადასვლა ხარისხობრივად ახალ ტექნოლოგიურ წყობაზე, რომელიც ემყარება წარმოებისა და მართვის ქსელურ განვითარებას, საინფორმაციო- საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას, განსაზღვრავს თანამედროვე ციფილიზაციის ახალ საფეხურს. მისი დამახასიათებელი მთავარი ნიშანია-მუშაკის კვალიფიკაციის, მისი პროფესიონალიზმისა და შემოქმედებითი შესაძლებლობების, როგორც მისი შრომისა და ადამიანისეული პოტენციალის როლის გაძლიერება.

თანამედროვე პირობებში, მსოფლიოში მიმდინარე იმ პროცესების, რომელიც დაკავშირებულია მაღალტექნოლოგიური, საინფორმაციო-ქსელური ეკონომიკის ფორმირებასთან, მთავარ აქტივს წარმოადგენს არა მატერიალური რესურსები, როგორც ეს ადრე იყო, არამედ ცოდნა, ინტელექტი, ინოვაცია, რომელიც გარდაისახებიან რეალურ ფაქტორებსა და წარმოების დამოუკიდებელ პროდუქტებში.

განათლების ახალი პარადიგმა იმაში მდგომარეობს, რომ ახალგაზრდას არა მარტო გადაეცეს კონკრეტული ცოდნა, არამედ შეისწავლონ მეურნეობრიობისა და სიცოცხლისუნარიანობის ხარისხობრივად ახალი პირობებისადმი ადაპტირება, ჩაერთონ მუდმივად ცვალებად ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა გარემოში.

დასავლეთში სულ უფრო აღიარებენ იმ ფაქტს, რომ თანამედროვე პირობებში წარმატებული კარიერა შეიძლება უზრუნველყოს მხოლოდ განათლების მოქნილმა სისტემამ, ისეთმა, რომელიც ითვალისწინებს გლობალიზაციის პროცესს. უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულებს საშუალება ეძლევათ იცხოვონ და იმუშაონ ახალ სამყაროში, სადაც ეროვნული ეკონომიკისა და კულტურის საზღვრები უფრო და უფრო პირობითი ხდება. მკვიდრდება ახალი ცნება - „განათლების გლობალიზაცია“.

გლობალიზაცია ისევე ძველი ცნებაა, როგორც ციფილიზაცია. 2000 წლის წინ მარკუს ავრელიუსი წერდა: მე ვარ მარკუს ავრელიუსი, რამდენადაც ვარ რომის მოქალაქე, ხოლო როგორც ადამიანი, მე მსოფლიოს მოქალაქე ვარ. თანამედროვე გაგებით ეს გამონათქვამი ნიშნავს პასუხისმგებლობას როგორც მსოფლიოს კაცობრიობის, ასევე ეროვნული სახელმწიფოს მიმართ.

გლობალიზაცია არის ციფილიზაციის მშენებლობის პროცესი, რომელიც დამოკიდებულია პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ

ურთიერთობებზე. იგი არის ეკონომიკური ინტეგრაციის, ხტანდარტიზაციისა და ურთიერთკულტურული პროცესების განხორციელება (იდეების, ცოდნისა და ადამიანისეული რესურსების გადადენის გზით სხვადასხვა ქვეყანაში). გლობალიზაცია სხვადასხვა ქვეყნის კოლექტური პასუხისმგებლობის იდეოლოგიური წარმოჩენაა. იგი გამოხატავს ადამიანთა შრომითი ურთიერთობების ინტეგრაციას, ცოდნისა და ტექნოლოგიების გავრცელებას საერთაშორისო მასშტაბით და აგრეთვე, - საერთაშორისო კოოპერაციას. გლობალიზაცია უმაღლეს განათლებაზე, სწავლებაზე, პედაგოგთა კადრებზე, სახელმწიფოს როლზე, სასწავლო დაწესებულებების პარტნიორულ ურთიერთობებსა და უმაღლესი სკოლის კულტურაზე პირდაპირ ზემოქმედებს. მასთან არის დაკავშირებული უმაღლესი განათლების განვითარების ისეთი ასპექტები, როგორიცაა სტრატეგიის ინტერნაციონალიზაცია, განათლების აღიარების საერთაშორისო გარანტიები, რეგიონალური და რეგიონთაშორისი კოოპერაცია, ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიები, ვირტუალური უნივერსიტეტები და სხვ. ფაქტია, რომ გლობალიზაციის პროცესი მიმდინარეობს, მიუხედავად იმისა, იგი ჩვენ გვინდა თუ არა.

გლობალიზაცია უნივერსიტეტების სასწავლო პროცესების ინტეგრაციით მიიღწევა და იგი გულისხმობს სასწავლო პროგრამებსა და სწავლების მეთოდებში საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას; სასწავლო საგნების შინაარსის, მიზნებისა და ამოცანების დაახლოებას; საერთაშორისო დისკიპლინების სტრუქტურის, სახელმძღვანელოებისა და პედაგოგთა კადრების გამოყენებას და სხვ. აქედან კი ერთი ნაბიჯია ტრანსნაციონალურ განათლებამდე, რომელსაც, სხვანაირად, გლობალურ საუნივერსიტეტო განათლებასაც უწოდებენ.

იმისათვის, რომ მოხდეს კადრების მომზადების სისტემის გლობალური განათლების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, დასავლეთის საზოგადოება მზადაა განახორციელოს ძვირადდირებული ექსპერიმენტები განათლების სფეროში, რამდენადაც მოთხოვნა ინოვაციაზე ორიენტირებულ კადრებზე და ხარისხიან განათლებაზე დღეს არ შეიძლება იქნას დაკმაყოფილებული ტრადიციული უმაღლესი სასწავლებლებითა და სწავლების მოქმედებული მეთოდებით.

ამ დეფიციტის ლიკვიდირების რეალურ შესაძლებლობას განვითარებულ ქვეუნებში წარმოადგენს საზოგადოების ინფორმატიზაცია (კომპიუტერებითა და ტელეკომუნიკაციების საშუალებებით უზრუნველყოფა, საინფორმაციო

რესურსების ფართოდ ხელმისაწვდომობა და ა.შ.) და სასწავლო პროცესში უახლესი საგანმანათლებლო ტექნოლოგიების დანერგვა. მიმდინარეობს ეწ. ვირტუალური სწავლების დაჩქარებული განვითარება, მისი ოპტიმალური ვარიანტების ინტენსიური ძიებით და მრავალრიცხოვანი, ყოველთვის არცთუ წარმატებული ექსპერიმენტებით. უმეტესი ქვეყნები იყენებენ ისეთ ექსტრაორდინალურ ზომებს, როგორიცაა მოსახლეობისათვის ინტერნეტის გამოყენების მასიური, იძულებითი სწავლება. ამ მიზნებისათვის იაპონიასა და სამხრეთ კორეაში გამოყოფილ იქნა დიდმალი თანხები. აშშ-ში ხდება იმ ძვირადღირებული პროგრამების რეალიზაცია, რომლებიც დაკავშირებულია მოსწავლეების „ნოუთბუქებით“ - მაღალხარისხოვანი „ბლოკნოტებით“ უზრუნველყოფასთან. ახალი პროექტი „ამერიკა ონლაინი სკოლაში“ მოწოდებულია დაეხმაროს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ინტერნეტში ორიენტირებაზე. სწავლების მიზნით ფართოდ და ინტენსიურად გამოიყენება მასიური კომუნიკაციისა და ინფორმაციის საშუალებები-ე.წ. მედია განათლება. იგი ჩართულია საშუალო და უმაღლესი განათლების პროგრამაში და წარმოადგენს ინფორმაციული ინფრასტრუქტურის მნიშვნელივან კომპონენტს.

განსაკუტრებული ყურადღება ექცევა დისტანციურ სწავლებას ინტერნეტის ბაზაზე. მსოფლიოს განვიტარებულ ქვეყნებში ყოველი მეოცე სტუდენტი სწავლობს დისტანციური სწავლების პროგრამით. ბრიტანეთის ღია უნივერსტიტეტი (ამ ტიპის პირველი სასწავლოდაწესებულება) მეცადინეობებს ატარებს 20 ქვეყანაში. საინფორმაციო მხარდაჭერის უზრუნველყოფა ხდება ელექტრონული ბიბლიოთეკების, მონაცემთა ბანკების, სასწავლო საინფორმაციო მასალების (სპეციალური სახემძღვანელოების, წერითი დაგალებების აუდიო და ვიდეომასალების) დახმარებით.

კომპიუტერული ტექნოლოგია უზრუნველყოფს იმ უზარმაზარ საინფორმაციო რესურსების ხელმისაწვდომობას, რომლებიც ცვლის თვით სწავლების პროცესს. მოსწავლეებს გააჩნიათ უკვე თანამედროვე კომუნიკაციებზე დაფუძნებული ინფორმაციების სხვადასხვა წყაროები, როგორიცაა: ინტერნეტი, ტელევიზორი, კომპიუტერული ენციკლოპედიები და ლექსიკონები, ვიდეოფილმები, ვიდეო და აუდიოსასწავლო კურსები. კომპიუტერს, რომელიც ჩართულია ინტერნეტის ქსელში, სტუდენტის განკარგულებაში აქვს მონაცემთა ბაზების უზარმაზარი რაოდენობა, ინფორმაცია მთელი მსოფლიოდან, რაც სწავლებას ეფრო ინდივიდუალიზებულს ხდის.

მასიური კომუნიკაციების ელექტრონული საშუალებები (საკუთრივ კომპიუტერული ტექნოლოგიები, ინფორმაციის გადამცემი ქსელები და სისტემები) ძირეულად ცვლის თანამედროვე განათლების სახეს. შეიძლება ითქვას, რომ დისტანციური სწავლება – ტრადიციული განათლების მესაფლავება. კომპიუტერული ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა გადავიდეთ სწავლების ტრადიციული მეთოდებიდან (მასწავლებლიდან ინფორმაციის პასიური მიღება) რეალობის უფრო აქტიურ შესწავლაზე, მივუახლოვოთ სასწავლო პროცესი ცხოვრებისუნარიანობის ახალ პირობებს, ვასწავლოთ ადამიანებს სწორად მოახდინონ ორიენტაცია ინფორმაციის უდიდეს ნაკადებში.

ვირტუალური სწავლების გლობალურ ბაზარზე როგორც ტრადიციულ უმაღლეს სასწავლებლებში მისი გამოყენების მასშტაბებიდან გამომდინარე, ასევე სრულიად ვირტუალური უნივერსიტეტების რაოდენობით ლიდერია აშშ. აშშ-ს უმეტეს უნივერსიტეტებში გვთავაზობენ ხაზობრივ (ონლაინ) განათლების ამა თუ იმ ფორმას. აშშ-შია შექმნილი პირველი სრულიად ვირტუალური უმაღლესი სასწავლო დაწესებულება – ჯონსის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

საზღვარგარეთული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ის კომპანიები, რომელიც წინ აყენებენ ინტერნეტ-განათლებას ბაზარზე პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან. მათ აქციებზე მაღალია მოთხოვნა, ასეთი კომპანიების წარმომადგენელთა აზრით კონკურენციის პირობებში განათლების ხარისხი თანდათან გაიზრდება.

მაგრამ ჯერ-ჯერობით განათლებაში ინვესტიციების ყველაზე პერსპექტიულ მიმართულებას წარმოადგენს ე.წ. მომგებიანი სკოლები (for profit schools), რომლებსაც აქს ალტერნატიული სახელმწიფო ორგანიზაციულ-მმართველობის სტრუქტურა. ეს არის სკოლის ახალი ტიპი, რომლის დაფინანსება ხდება სახელმწიფოს მიერ და იმართება მენეჯმენტზე სპეციალიზირებული კერძო კომპანიების მიერ. აქ სახელმწიფო სკოლის უფასო სწავლება შერწყმულია კერძო სკოლის მაღალ საგანმანათლებლო სტანდარტებთან. ექსპერტები თვლიან, რომ ამ სკოლებში სწავლების ხარისხი მაღალია, რაც განაპირობებს განათლების სისტემისს პროგრესს და აამაღლეს მის კონკურენტუნარიანობას. ამერიკელების პროგნოზის მიხედვით უკვე 2020 წლისათვის სახელმწიფო სკოლების 30%-ის მართვას განახორციელებს ასეთი კომერციული კომპანიები.

სწავლება ვირტუალურ სამყაროში მხოლოდ დადებითი მხარეებით არ ხასიათდება. სპეციალური გამოკვლევები ადასტურებს, რომ ვირტუალურ

სამყაროში მცირე ხნით ყოფნაც კი ადამიანზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს (აზიანებს სამოძრაო რეფლექსებს). არსებობს ასევე სხვა უარყოფითი მომენტები. კერძოდ, კომპიუტერი ქმნის რაღაც ვირტუალურ-ფანტასტიკურ გარემოს. ფსიქოლოგები თვლიან, რომ ეს გარემო მის მომხმარებელს აშორებს რეალურ სამყაროს, სულიერ ცხოვრებას.

დასავლეთში მიმდინარეობს მწვავე პოლემიკა ტრადიციულ და ონლაინით სწავლებაზე, მის ეფექტიანობასა და პერსაექტივებზე.

არაქტიკულად, ჯერ-ჯერობით, კომპიუტერული ტექნოლოგიები ძირითად გამოიყენება როგორც სწავლების ტრადიციული მეთოდიკის დამხმარე საშუალება.

თუ აღნიშნულ საკითხებს განვიხილავთ საქართველოს სინამდვილიდან, დავინახავთ, რომ მას ახასიათებს კომპიუტერიზაციის და ინტერნეტიზაციის დაბალი დონე. 2000 წლისათვის საქართველოში ყოველ ათას კაცზე მოდიოდა 0,14 ინტერნეტ ქსელი, მაშინ როდესაც რუსეთში იგი 2,16-ს შეადგენს, ლიტვაში 2,65-ს, სლოვაკიაში - 4,10), რომ აღარაფერი ვთქვათ განვითარებულ ქვეყნებზე;

იმისათვის რომ საქართველომ შეძლოს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირება, აუცილებელია საგანმანათლებლო სისტემას კომპიუტერიზაციის და ინტერნეტიზაციის პროცესის გაფართოება. აღნიშნულის დადასტურებაა პროექტი- „ირმის ნახტომი“ - საქართველოს სკოლების კომპიუტერიზაციის პროგრამა-კიდევ ერთი თამამი წამოწყებაა საქართველოს საგანმანათლებლო რეფორმისსფარგლებში. ეს პროგრამა 4 წლის მანძილზე საქართველოს ყველა სკოლას უზრუნველყოფს კომპიუტერული ტექნიკით და ინტერნეტ-კავშირით, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინტეგრირებას მთელ სასწავლო პროცესში. 4 წლის მანძილზე ქართველი მოსწავლეების 100% და პედაგოგების 70%-ზე მეტი დაეუფლება ძირითად კომპიუტერულ ჩვევებს, შეიქმნება ახალი სასწავლო კომპიუტერული პროგრამები, განხორციელდება ახალი სასწავლო პროექტები. „ირმის ნახტომი“ სულ რამდენიმე წელიწადში შექმნის ძირითად ინფრასტრუქტურას, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნება სკოლების ტექნიკური ბაზის მუდმივი განახლება.

„ირმის ნახტომი“ მხოლოდ სასკოლო რეფორმის ნაწილი როდია. ამ პროგრამის შედეგად საქართველოს თითოეული ქალაქი თუ სოფელი ჩაერთვება საკომუნიკაციო ქსელში; სკოლა იტვირთებს ცენტრის ფუნქციებს; შეიქმნება მასწავლებელთა პორტალი, რისი საშუალებითაც მასწავლებლებს ექნებათ

პროფესიული განათლების გაზიარების საშუალება. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები შესაძლებელს გახდის გაფართოვდეს კავშირები სკოლებს შორის, საქართველოს სხვადასხვა ეროვნების მოქალაქეებს შორის. ეს პროგრამა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ქვეყნის სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში.

პროექტი- „ირმის ნახტომის“ პირველი ეტაპის განხორციელება იგეგმება 2005-2009 წლებში და გულისხმობს: თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკისა და ინტერნეტის მისაწვდომობას საქართველოს ყველა სკოლაში, საგანმანათლებლო კომპიუტერული პროგრამებითა და მომსახურებით უზრუნველყოფას, ინფორმაციულ- საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარებას. ინფორმაციულ- საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო გეგმებში, განათლების მართვის ინფორმაციული სისტემის დანერგვას სასკოლო, რაიონულ და ეროვნულ დონეებზე.

პროგრამის განხორციელების შედეგად პერსპექტივა 2009 წლისათვის ასეთია-საქართველოს სკოლების 90 %-ზე მეტი იქნება აღჭურვილი ინტერნეტ-კავშირით (50 ბავშვზე ერთი კომპიუტერი, დღეს საქართველოში 189 ბავშვზე მოდის ერთი ამორტიზირებული, მეორადი მოხმარების კომპიუტერი, რომელთა 98% ინტერნეტში არ არის ჩართული). ყველა მოსწავლე სკოლის დამთავრებისას უნდა ფლობდეს ძირითად კომპიუტერულ უნარ-ჩვევებს (ინფორმაციის მოძიება, გადამუშავება და გადაცემა).

კომპიუტერიზაციის და ინტერნეტიზაციის პროცესი დაჩქარებული ტემპებით მიმდინარეობს უმაღლეს სასწავლებლებშიც. ამდენად იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოდერნიზაცია ხელს შეუწყობს ქართული განათლების საერთაშორისო „კონკურენტირებასა“ და საერთაშორისო ეკონომიკასა და საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებას.

ამრიგად, განათლების გლობალიზაცია არ არის მარტივი პროცესი. იგი საშუალებაა, რათა ყოველმა ერმა მიიღოს სარგებლობა, თუ საგანმანათლებლო სისტემას განავითარებს როგორც ეროვნულ ნიადაგზე, ასევე საერთაშორისო ინტეგრაციის გზით და შეძლებს მყარი სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობას. გლობალიზაციის საშუალებითა და განათლების სისტემის განვითარებით ყოველი ქვეყანა ცდილობს, განახორციელოს თავისი ეროვნული მიზნები. განათლება არის პოლიტიკის ნაწილი და იმის მიხედვით, თუ რა

ამოცანები აქვს ხელისუფლებას დასახული, განათლება ორიენტირებულია ეკონომიკის კონკრეტულ სფეროებზე და ჰარმონიზებულია მასთან.

როდესაც ეკონომიკური მიზნების განხორციელება არ არის უზრუნველყოფილი შესაბამისი საგანმანათლებლო პოტენციალის განვითარებით, მაშინ ეს მიზნები, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ვერ სრულდება და ეკონომიკის განვითარებაც ფერხდება, მიუხედავად იმისა, რა მდიდარი რესურსებიც არ უნდა გააჩნდეს ამისათვის ქვეყანას. ამდენად, პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის მოწყობას, განათლების სახელმწიფო პოლიტიკის როლს სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში.

ლიტერატურა

1. Колчугина М. „Новой экономике-новое образование. ж.МЭ и МО,2003г.
2. „Эксперт, 16.10.2000г.
3. Kubey R. Media literacy in the information age. L.,1997

ECONOMY

Shorena Maglakelidze

“Globalization of Education” –Experience of the West Georgia’s Perspectives

Summary

The beginning of the new century is followed by the changes of new processes and events of the international levels and along with them economic development paradigms. A thesis about revival of a country is not possible without new type of education development is more and more widely recognized by the society.

In the west the fact is acknowledged that making a successful career is only possible by flexible education support, which is considered by the globalization process. A new notion of “globalization of education” is being established, the real fulfillment of which presents informatization of society in the developed countries, establishing the newest educational

technologies in the educational process, so called accelerated development of virtual education and etc.

So as Georgia is able to integrate in the international educational space, it is necessary to widen the process of computerization and internetization of educational system. The confirmation of that is computerization of Georgian schools – one more undertaking in the framework of Georgian educational reform.

ЕКОНОМИКА

Шорена Маглакелидзе

,, Глобализация образования-опыт запада, перспективи Грузии

Резюме

Начало нового века отмечено изменениями новых процессов и явлении международных масштабов и вместе с ним парадигмов экономического развития. Все более широкое общественное признание получает тезис о том, что возрождение страны немыслимо без нового взгляда на образование.

На западе все более признается, что в современных условиях успешную карьеру может обеспечить только такая система образования которая учитывает процессы глобализации. В обиход вошло новое понятие- „Глобализация образования, который в развитых странах усматривает информатизацию общества, внедрение в учебный процесс новейших образовательных технологий, развитие так называемого виртуального образования.

Для того, чтобы Грузия могла интегрировать и сфере международного образования, нужно расширить процесс компьютеризации и интернетизации образовательной системы. Отмеченное удостоверяется программой компьютеризации школ Грузии, что является еще одним начинанием в рамках образовательной реформы Грузии.

